არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№075/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკა და პროცედურები დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკა და პროცედურები

1. დოკუმენტის მიზანი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობასთან დაკავშირებულ ზოგად მიდგომებს, აგრეთვე აღწერს პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფენ აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისებას და ხელშეწყობას, გამოყოფილი დაფინანსების რაციონალურ ხარჯვას, ახალი ცოდნის გავრცელებასა და კვლევების შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობას.

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ზოგადი მიდგომები

1. სამეცნიერო საზოგადოებასთან, საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზით უნივერსიტეტი ხელს უწყობს და ახალისებს უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების სამეცნიერო-კვლევით პროცესებში ჩართულობას, მათი სამეცნიერო-კვლევითი-შემოქმედებითი და საკონსულტაციო საქმიანობის მხარდაჭერას, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების პუბლიკაციასა და სხვადასხვა სამეცნიერო გრანტებზე მუშაობის ორგანიზებას. ამისთვის უნივერსიტეტი:

1.1 უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში მეცნიერების ინტეგრაციასა და პროგრამების განვითარების ხელშეწყობას;

1.2 ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური და კომერციალიზაციაზე ორიენტირებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევითი პროექტების განხორციელებას;

1.3 მხარს უჭერს ახალგაზრდა მეცნიერთა საქმიანობას და წახალისებას კვლევებში მათი ინტეგრაციის მიზნით;

1.4 ხელსუწყობს უნივერსიტეტის აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის საერთაშორისო მობილობას;

1.5 ახდენს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას და დაფინანსების წყაროების მოზიდვას/დივერსიფიკაციას;

1.6 ამყარებს ურთიერთობებს სხვა ქვეყნების ეროვნულ სამეცნიერო ფონდებთან, კვლევით ცენტრებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო ფონდებთან, დონორებთან და ახორციელებს მეცნიერების სფეროში მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების კოორდინაციას;

1.7 საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს საგრანტო კონკურსების ადმინისტრირებას;

1.8 ორგანიზებას უწევს სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების მოწყობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

1.9 ახორციელებს რეგიონული განვითარების პოლიტიკის შეფასებას და რეკომენდაციების მიწოდებას ადგილობრივი სტრუქტურებისათვის მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

1.10 ქმნის, გამოსცემს, ავრცელებს და რეალიზებას უკეთებს (მათ შორის, შემოსავლის მიღების მიზნით) საინფორმაციო ბუკლეტებს, ანალიტიკურ ანგარიშებს, სააკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ გამოცემებს, მეთოდურ და საგანმანათლებლო ლიტერატურას, ასევე ხელს უწყობს კვლევების პოპულარიზაციას სტატიების საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნების ხელშეწყობის მეშვეობით.

2. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

2.1 უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო აღიარებულ საქმიანობებს, მათ შორის კვლევების ხელშეწყობას, ახალი ცოდნის გავრცელებას, ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ხელშეწყობასა და მობილობას;

2.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობები ხორციელდება უნივერისტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მიერ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;

2.3 უნივერსიტეტი მიიჩნევს მნიშვნელოვნად და შესაბამისი საქმიანობით წაახალისებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორცილებას როგორც ქართული, ასევე უცხოური ორგანიზაცია-დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთად;

2.4 უნივერსიტეტი ხელს უწყობს აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების დამოუკიდებლად წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მათთვის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზით პრივილეგიური პირობებით სარგებლობის უფლებების დადგენით, სამეცნიერო კონფერენციებზე მათი მოხსენებების წარდგენის, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსების გზით.

3. სამეცნიერო -კვლევითი მიმართულებები

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური და კომერციალიზაციაზე ორიენტირებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევითი პროექტების განხორციელებას შემდეგ მიმართულებებში:

3.1 სოციალური მეცნიერებები;

3.2 ჰუმანიტარული მეცნიერებანი;

3.3 ჯანდაცვა;

3.4 ხელოვნება;

3.5. ინტერდისციპლინარული კვლევები.

4. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები

4.1 უნივერსიტეტის დოქტორანტურის კონტინგენტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებაზე პასუხიმგებელია შესაბამისი ფაკულტეტი, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმინობის კოორდინაციას ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, ხოლო ამავე აქტივობის ზედამხედველობას ახორციელებს კვლევის ეთიკისა და სამეცნიერო კომიტეტები.

4.2 სამეცნიერო კომიტეტი შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლებსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი და მისი საქმიანობა წარიმართება კომიტეტის დებულების შესაბამისად. სამეცნიერო კომიტეტი:

4.2.1 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალთან კონსულტირების გზით შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმას;

4.2.2 სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებზე დაყრდნობით შეიმუშავებს წინადადებებს პერსპექტიულ მიმართულებების შესახებ;

4.2.3 ადგენს აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი საგრანტო განაცხადების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებთან და საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობას და სამუშაოთა მიმდინარეობის მანძილზე სისტემატიურად, აგრეთვე დასრულებისას აფასებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს;

4.2.4 ადგენს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფონდებში აკადემიური პერსონალის მიერ წარსადგენი საგრანტო განაცხადის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებთან შესაბამისობას;

4.2.5 ადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

4.3 გარდა სადოქტორო პროგრამებით სწავლების ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ზოგად მართვაზე და მონიტორინგზე პასუხიმგებელია ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, რომელიც:

4.3.1 ამოწმებს დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში გაწეული/გასაწევი ხარჯების მიზნობრიობას;

4.3.2 უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულების შუალედურ და დასკვნით ანგარიშგებას და ყოველი წლის ბოლოს ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ ანგარიშს;

4.3.3 მხარს უჭერს საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავებისა და განაცხადების წარდგენას, აგრეთვე ახორციელებს მათ ფინანსურ ადმინისტრირებასა და მონიტორინგს.

4.4 სადოქტორო პროგრამების მართვას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი, რომელიც:

4.4.1 კოორდინაციას უწევს სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებულ კვლევით საქმიანობას.

4.5 კვლევის ეთიკის კომიტეტი

4.5.1 კვლევის ეთიკის კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან და რომლებსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი და მისი საქმიანობა წარიმართება კომიტეტის დებულების შესაბამისად. კომიტეტი:

4.5.2 მასზე დაკისრებული აქტივობების განხორციელების პროცესში კომიტეტი ხელმძღვანელობს ეროვნული და საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის სფეროში აღიარებული სამართლებრივი და ეთიკური რეგულაციებით;

4.5.3 კომიტეტი უზრუნველყოფს როგორც აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის მოთხოვნათა დაცვას, ასვე უნივერსიტეტის ბაზებზე წარმოებულ ყველა სახისა და მიმართულების კვლევებში მონაწილე პირების უსაფრთხოების, უფლებების, კონფიდენციალობისა და კეთილდღეობის დაცვას;

4.5.4 კომიტეტს ევალება უზრუნველყოს უნივერსიტეტში ადამიანის ან/და მისი ბიოლოგიური მასალის ან მონაცემების გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო კვლევების შეფასება და შესაბამისობის უზრუნველყოფა საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ნორმებთან, საქართველოს კანონმდებლობასა და საუნივერსიტეტო მარეგულირებელ აქტებთან;

4.5.5 კომიტეტი ეხმარება მკვლევრებსა და კვლევაში ჩართულ სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური, და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების მიმართ ორიენტირებაში და მხარს უჭერს შესაბამისი პირების ცნობიერების ამაღლებას.

5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება

5.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტის გამოყოფს როგორც საკუთარ სახსრებს, აგრეთვე დაფინანსების დივერსიფიკაციის მიზნით მოიძიებს სხვადასხვა ფინანსურ წყაროებს, მათ შორის ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობ ფონდებსა და პროგრამებში, რისთვისაც:

5.1.1 უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური რესურსები, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს საერთო ბიუჯეტის 3 %-ზე ნაკლები;

5.1.2 კვლევების პოპულარიზაციისათვის სტატიების საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოცემის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყოველი მკვლევარისათვის / აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის გრანტის სახით ფინანსური რესურსების გამოყოფას;

5.1.3 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორიციელებლად უნივერსიტეტი ახალისებს აკადემიურ და სტუდენტურ პერსონალს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ორგანიზაციებში ინდივიდუალური/ჯგუფური საგრანტო პროექტების განაცხადების წარსადგენად და შესაბამისი დაფინანსების მოსაპოვებლად. როგორიცაა:

ა) საქართველოს მთავრობის, სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობების, საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებების, უცხო ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მათივე დაკვეთით საზოგადოების მიერ დამოუკიდებლად ან სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის მიღებული გრანტები;

ბ) საქართველოს მთავრობის, სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობების, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საზოგადოებისათვის ან მისი მონაწილეობით მოქმედი კონსორციუმისათვის გადაცემული სამეცნიერო გრანტები;

გ) საერთაშორისო საგრანტო პროექტები, მათ შორის უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის ან/და მისი მონაწილეობით მოქმედი კონსორციუმისათვის გადაცემული სამეცნიერო გრანტები;

5.1.4 შიდა საუნივერსიტეტო და გარე წყაროდან მოზიდული საგრანტო პროექტებით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი მოცემულია ამავე დოკუმენტში. განსაკუთრებულ შემთხვევებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების პირობები დგინდება ხელშეკრულებით დამფინანსებელსა და უნივერსიტეტს შორის.

6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საუნივერსიტეტო ფორმები

6.1 უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, თავისი ბიუჯეტისა და კომპეტენციების ფარგლებში იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- სამეცნიერო-კვლევითი საუნივერსიტეტო საქმიანობის საგრანტო დაფინანსება;
- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები;
- აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის მიერ დაწერილი სტატიების საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნების ხელშეწყობა;
- ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები;
- სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის სტატუსს და მოქმედ კანონმდებლობას.

7. საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საგრანტო დაფინანსება

7.1 საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საგრანტო (შემდეგში - შიდა სამეცნიერო გრანტი) არის უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა, რომელიც გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მათი სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობისთვის, კვლევითი აქტივობების ჩატარების, კვლევაში ჩართული პირების სამუშაოს ანაზღაურებისთვის, კვლევისთვის აუცილებელი რესურსების შეძენისათვის, სამეცნიერო მივლინებათა განსახორციელებლად და ა.შ. შიდა საუნივერსიტეტო გრანტით კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად განსაზღვრული თანხის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ბიუჯეტით;

7.2 შიდა სამეცნიერო გრანტი გაიცემა მხოლოდ კონკურსის წესით, რომლის სამეცნიერო და ფინანსური პარამეტრები განისაზღვრება ყოველწლიურად, კონკურსის პირობების მიხედვით;

7.3 უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ უნივერსიტეტში აფილირებულ პროფესორებს (მკვლევარებს) და სტუდენტებს, რომლებიც ასრულებენ პროექტით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს. პროექტში დამხმარე პერსონალის სახით შეიძლება ასევე ჩაერთონ უნივერსიტეტის არააფილირებული პროფესორები/აკადემიური პერსონალი;

7.4 შიდა სამეცნიერო-კვლევით საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

7.4.1 კვლევითი პროექტის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო მიმართულებებსა და ფაკულტეტების სამეცნიერო პრიორიტეტებს;

7.4.2 კვლევითი პროექტი უნდა უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტის პროფესორების, ლექტორების და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობას;

7.4.3 კვლევითი პროექტი უნდა შესრულდეს და მისი შედეგები უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის სახელით, ერთობლივი პროექტის შემთხვევაში უნივერსიტეტის სახელის გამოყენებით;

7.4.4 კვლევის შინაარსი უნდა წარმოადგენდეს სიახლეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცისათვის და არ უნდა იმეორებდეს უკვე შესრულებულ კვლევის/გამოცემების შინაარსს.

7.4.5 აუცილებელია კვლევაში რელევანტური, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ადექვატური წყაროებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება;

7.4.6 სასურველია რომ კვლევის შედეგები გამოყენებული იქნეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;

7.4.7 საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის ავტორს განაცხადის შეტანამდე შეთანხმებული უნდა ქონდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესაბამის მფლობელებთან ამ უფლებების შემცველი წყაროების გამოყენების საკითხი;

7.4.8 საგრანტო განაცხადის წარდგენიდან კვლევის დასრულებამდე პროექტის ყველა მონაწილეზე ვრცელდება უნივერსიტეტის ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების სტანდარტები.

8. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების დაფინანსება

8.1 უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწყობს მინიმუმ ერთ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას. კონფერენციის მოწყობის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, უნივერსიტეტის სენატი, ფაკულტეტის საბჭო და ყველა სტრუქტურული ერთეული;

8.2 ინიციატორი (გარდა რექტორის და უნივერსიტეტის სენატის) შესაბამისი განცხადებით მიმართავს რექტორს. განცხადებას თან უნდა დაერთოს ღონისძიებათა კალენდარული გეგმა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. თუ სამეცნიერო კონფერენციის მოწყობის ინიციატორია რექტორი ან უნივერსიტეტის სენატი, ღონისძიებათა კალენდარულ გეგმისა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის პროექტებს, რექტორის დავალებით, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური;

8.3 დასკვნას სამეცნიერო კონფერენციის მოწყობის მიზანშეწონილობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინიციატორია რექტორი, უნივერსიტეტის სენატი და/ან ღონისძიება არის არაგეგმიური, ამზადებს სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური.

9. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

9.1 უნივერსიტეტი ახალისებს მისი აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობას. საჭიროების შემთხვევაში თანადაფინანსების მიზნით გამოყოფს ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს;

9.2 უნივერსიტეტი აგრეთვე მიესალმება და ხელს უწყობს უცხოელ მეცნიერ-მკვლევარებს რათა მათ მოახდინოს კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის ბაზაზე;

9.3 უნივერსიტეტი თავისი სამეცნიერო პრიორიტეტების გათვალისწინებით, აგრეთვე ცდილობს ინსტიტუციურად ჩაერთოს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი პროექტებში და საერთაშორისო კვლევით კონსორციუმში;

9.4 გადაწყვეტილებას კვლევით კონსორციუმში მონაწილეობაზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე;

9.5 ყველა კონკრეტულ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, სადაც უნივერსიტეტი მონაწილეობს როგორც ინსტიტუციური პარტნიორი პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი შეირჩევა სამეცნიერო კომიტეტის რეკომენდაციით და მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელად (კოორდინატორად) ინიშნება ჯგუფის ხელმძღვანელი;

9.6 პროექტების მართვა და ანგარიშგება ხორციელდება იმავე წესით, რაც შიდა სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული პროექტები.

10. საგრანტო კონკურსის ჩატარების წესი და ეტაპები

10.1 საგრანტო კონკურსის მოსამზადებელი ეტაპზე განსაზღვრება შიდა სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო კონკურსის ძირითადი ფინანსური პარამეტრები, ვადები და შეფასების კრიტერიუმები;

10.2 საგრანტო განაცხადების წარდგენის ეტაპი:

10.2.1 შიდა სამეცნიერო საგრანტო განაცხადების მიღება წარმოებს საგრანტო კონკურსის თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრულ ვადაში;

10.2.2 განაცხადების წარდგენის ეტაპზე, უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური ამოწმებს საგრანტო განაცხადის ფორმალურ შესაბამისობას მოთხოვნებთან. ხარვეზიანი განაცხადები შესაბამისი მითითებით უბრუნდება განმცხადებელს.

10.3 საგრანტო განაცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპი:

10.3.1 კვლევით საგრანტო განაცხადი უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის მიერ იგზავნება კვლევის ეთიკის კომიტეტში;

10.3.2 კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო განაცხადი უბრუნდება ავტორს და ეძლევა 15 სამუშაო დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად;

10.3.3 სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო განაცხადი კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის შემდგომ იგზავნება სამეცნიერო კომიტეტში;

10.3.4 სამეცნიერო კომიტეტი ახდენს კვლევითი პროექტების რანჟირებას რის მიხედვითაც შეირჩევა გამარჯვებული პროექტები და ხორციელდება მათი დაფინანსება.

10.4 თითოეული სამეცნიერო-კვლევითი განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

10.4.1 პროექტში ჩართული მეცნიერის (მკვლევარის, ჯგუფის) კვალიფიკაცია და შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ კვლევასთან;

10.4.2 წარდგენილი სამეცნიერო კვლევის აქტუალურობა;

10.4.3 დაგეგმილი კვლევის მოცულობის შესაბამისობა პროექტის ვადებთან;

10.4.4 პროექტის საფუძვლიანად დასაბუთება (პროექტის მიზნებთან გამოყენებული კვლევითი მეთოდების რელევანტურების დასაბუთება);

10.4.5 პროექტის ხარჯების ეფექტიანობა;

10.4.6 პროექტის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა სასწავლო პროცესში;

10.4.7 პროექტის შესაბამისობა უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტებთან;

10.4.8 პროექტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტების ჩართულობა;

10.4.9 იქნება ეს დასრულებული კვლევა, თუ კვლევითი პროცესის ნაწილი (თუ ეს უკანასკნელია უნდა ჩანდეს მისი გავლენა მთელ კვლევით პროცესზე);

10.4.10 პროექტის ინტერნაციონალიზაცია (უცხოელი მკვლევარის ჩართულობა);

10.4.11 დასრულებისას რა პროდუქტი დაიდება: ანგარიში, სტატია, სახელმძღვანელო და ა.შ.

10.5 ყოველ სასწავლო წელს რანჟირებისას შეფასების კრიტერიუმების კოეფიციენტები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების წინ და დაფუძნებული იქნება უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებზე.

10.6 კომისიის ყველა წევრი ხელს აწერს თითოეული პროექტის ჯამური შეფასების უწყისს და რანჟირებულ სიას ოქმებთან ერთად გადაცემს კომიტეტის თავმჯდომარეს.

10.7 საგრანტო პროექტების განხორციელებისა და ანგარიშგების ეტაპი

10.7.1 კვლევითი პროექტის ფარგლებში სამუშაოთა კოორდინაციას ახორციელებს პროექტის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის მხრიდან პროექტს ზედამხედველობას უწევს კვლევის ეთიკისა და სამეცნიერო კომიტეტები, ხოლო ადმინისტრირებას ახორციელებს სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური.

10.7.2 საქონლის/მომსახურების/სამუშაოების შესყიდვების წლიურ და ოპერატიულ გეგმებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების ხელშეკრულების შესაბამისი ცვლილებები შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის ინიციატივით.

10.7.3 დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, პერიოდულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში, წარუდგინოს:

- კვლევის ეთიკისა და სამეცნიერო კომიტეტს წერილობითი ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ეტაპობრივი შესრულებული სამუშაოს და მიღებული შედეგების შესახებ;
- სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელს წარედგინება წერილობითი ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ეტაპობრივი შესრულების შესახებ. ანგარიშები დამფინანსებელს შეიძლება გაეგზავნოს მხოლოდ სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ვიზირების შემდეგ.
- ჯანდაცვის მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისას ყოველი ახალი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და დასრულების ეტაპზე წარუდგინოს შესაბამის დოკუმენტაცია კვლევის ეთიკის კომიტეტს;

10.7.4 დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში გაწეული/გასაწევი ხარჯების მიზნობრიობას ამოწმებს სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური გაწეული/გასაწევი და საანგარიშსწორებო საბუთით გათვალისწინებული ხარჯის სიდიდისა და მიზნის შედარების გზით ხელშეკრულების მონაცემებთან;

10.7.5 დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხარჯებს ანაზღაურებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური ხელშეკრულების შესაბამისად შესყიდული და მოწოდებული / მოსაწოდებელი საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების ღირებულების მომწოდებლისათვის ანაზღაურებისა და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების გზით კანონმდებლობით გათვალისწინებული საანგარიშსწორებო საბუთების (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი და ა.შ.) საფუძველზე. ხარჯი ანაზღაურდება, თუ საბუთი ვიზირებულია სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის მიერ.

11. სტატიების საერთაშორისო რეფერირებად, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოცემის ხელშეწყობა

11.1 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მიერ მომზადებული სტატიების საერთაშორისო რეფერირებად, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

11.1.1 პროექტის მომზადებისა და კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით სემინარების მოწყობას;

11.1.2 აკადემიური პერსონალისათვის აღნიშნული აქტივობის წელიწადში 2-ჯერ განხორციელებას, თითოეული აფილირებული პროფესორისათვის სემესტრულად გამოყოფილი 1000 ლარიანი საგრანტო დაფინანსებით;

11.1.3 პირველ სემესტრში კონკურსი გამოცხადდებას 1 სექტემბერს (განაცხადები მიიღება არაუგვიანეს 1 ნოემბრისა და დასრულების პერიოდი არის არაუგვიანეს 31 დეკემბრისა);

11.1.4 მეორე სემესტრში კონკურსი გამოცხადდება 1 მარტს (განაცხადები მიიღება არაუგვიანეს 1 მაისისა და დასრულების პერიოდი არის არაუგვიანეს 15 ივლისისა);

11.1.5 გრანტი გაიცემა შემდეგ ბაზებში ინდექსირებული ჟურნალის (Scopus; Web of Science (WoS); Scimago (SJR); EBSCO; Erih Plus; Ulrich's Periodicals Directory; Index Copernicus International; WZB Berlin Social Science Centre; HsH - Bibliothek – EZB Detailansicht; Open Academic Journal Index; Scientific Indexing Services (SIS); Open Academic Journal Index (OAJI); Google scholar; International Scientific Indexing; InfoBase Index; Electronic Journals Library; WZB Berlin Social Science Centre) მკვლევარისათვის მის სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის გამოცემაზე თანხმობის მიღების შემდეგ (ჟურნალის ინდექსირება სავალდებულოა მინიმუმ 2 ბაზაში);

11.1.6 კვლევითი გრანტის გაცემის აუცილებელი პირობაა კვლევით საქმიანობაში უნივერსიტეტის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა.

11.2 დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტებისათვის აღნიშნული გრანტი წესდება მთელი წლის მანძილზე და ამისათვის უნივერსიტეტი:

11.2.1 ახდენს საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის წახალისებას;

11.2.2 ყოველწლიურად გამოიყოფა 1000 ლარი;

11.2.3 საგრანტო პროექტებისთვის გამოყოფილ თანხებს გასცემს საკონფერენციო მოხსენების მაღალ რეიტინგული/რეფერირებად ჟურნალის მიერ (Scopus; Web of Science (WoS); Scimago (SJR); EBSCO; Erih Plus; Ulrich's Periodicals Directory; Index Copernicus International; WZB Berlin Social Science Centre; HsH - Bibliothek – EZB Detailansicht; Open Academic Journal Index; Scientific Indexing Services (SIS); Open Academic Journal Index (OAJI); Google scholar; International Scientific Indexing; InfoBase Index; Electronic Journals Library; WZB Berlin Social Science Centre) გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღების შემდეგ. ინფორმაცია გრანტების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ეგზავნება უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტს.

11.2.4 სტატიების საერთაშორისო რეფერირებად, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში განაცხადის ავტორი ვალდებულია წარმოადგინოს საგრანტო განაცხადი შემდეგი ფორმის შესაბამისად:

ა) აკადემიური პერსონალი ავსებს:

ავტორ(ებ)ი	
კვლევაში ჩართული მაგისტრანტი/დოქტორანტი	
ნაშრომის დასახელება	
რომელ ენაზე ქვეყნდება	
რომელ ენაზეა რეზიუმეები	
ჟურნალის გასახელება	
ISSN	
პერიოდულობა	
ვებგვერდის მისამართი	
ქვეყანა	
ინდექსირება/ბაზები	
გამოქვეყნების სავარაუდო პერიოდი	
ხელმოწერები ავტორ(ებ)ი, მაგისტრანტი/დოქტორანტი	
თარიღი	

ბ) მაგისტრანტი/დოქტორანტი ავსებს:

კონფერენციის სახელწოდება	
ჩატარების ადგილი	
ჩატარების თარიღი	
ძირითადი ორგანიზატორი	
ძირითადი ორგანიზატორის ვებგვერდი	
მოხსენების/ნაშრომის ავტორ(ებ)ი	
მოხსენების/ნაშრომის დასახელება	
რომელ ენაზე ქვეყნდება	
რომელ ენაზეა რეზიუმეები	
მოხსენება (თეზისი, რეზიუმე) ქვეყნდება:	
კრებულში (მიუთითეთ დასახელება)	
ჟურნალში (მიუთითეთ დასახელება)	
ინდექსირება/ბაზები	
ISSN	
პერიოდულობა	
ვებგვერდის მისამართი	
გამოქვეყნების სავარაუდო პერიოდი	

12. უფლებები საგრანტო პროექტის შედეგად შესრულებულ კვლევაზე

12.1 უნივერსიტეტის ფარგლებში დაფინანსებული კვლევა ხორციელდება მისივე სახელით;

12.2 საავტორო უფლებები განხორციელებულ კვლევაზე და მის ფარგლებში შესრულებულ პუბლიკაციებზე ეკუთვნის შესაბამისი საგრანტო პროექტის ავტორს/კვლევის კონკრეტული კომპონენტის უშუალო შემსრულებელს;

12.3 მომიჯნავე უფლებების - პუბლიკაციების გამოქვეყნების, საჯაროდ განთავსების ან სხვაგვარად გამოყენების უფლებების მფლობელია უნივერსიტეტი;

12.4 უნივერსიტეტი იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს და აღნიშნული წესით დადგენილი მექანიზმებით მიმართულია გამოავლინოს სხვისი შრომის შედეგის ნებისმიერი ფორმით მითვისება. უნივერსიტეტის კვლევითი საზოგადოების მოვალეობაა, პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება, გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და პრესტიჟს.